აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ 2020 წლის ანგარიში

სარჩევი:

1. შესავალი (2-6 გვ.)
2. მეთოდოლოგია (6-7 გვ.)
3. თავისუფლად გადაადგილების უფლება (7-9 გვ.)
4. პასპორტიზაცია (9-11 გვ.)
5. უკანონო დაკავებები (11-12 გვ.)
6. საკუთრების უფლება (12-18 გვ.)
7. ქალთა უფლებები (18-21 გვ)
8. ბავშვთა უფლებები (21-23 გვ.)
9. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (23-25 გვ.)
10. კრიმინალი (25-27 გვ)
11. COVID-19 (27-29 გვ,)
12. დასკვნა (29 გვ.)

შესავალი

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების თაობაზე 2020 წლის ანგარიში მომზადებულ იქნა ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დებულებით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ამასთან, რამდენადაც, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 დეკემბრის #336 დადგენილებით, სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში წევრად განსაზღვრულ იქნა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ინსტიტუციის პრიორიტეტებად განისაზღვრა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია, სამშვიდობო ინიციატივების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს ნდობის აღდგენის, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად, ყოველკვირეულად ხორციელდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და რუსულენოვანი მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიება, თარგმნა და დამუშავება, რაც საფუძვლად დაედო წინამდებარე ანგარიშის მომზადებას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ რუსეთის ფედერაციის მიდგომები არ შეცვლილა და კვლავ გამოიხატებოდა ანექსიის პოლიტიკის გატარებაში.

განვლილმა 2020 წელმა ცხადყო, რომ საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს ისევ წარმოადგენს ოკუპაცია და რუსეთის პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა მიმართ.

რუსეთის ფედერაცია ოკუპირებულ აფხაზეთში აქტიურად იყენებს შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას და სიტუაციის დარეგულირების სანაცვლოდ აიძულებს მარიონეტულ რეჟიმს მისთვის სასურველი გადაწყვეტილებები მიიღოს.

წინა წლების მსგავსად ოკუპირებულ რეგიონში სახეზეა მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობა, კორუფცია, ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების, მათ შორის, გადაადგილების, კერძო საკუთრების, მშობლიურ ენაზე განათლების, ქალთა და ბავშვთა უფლებების სრული იგნორირება, რაც საფრთხეს უქმნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა.

გასული წლის განმავლობაში უცვლელი იყო ოკუპირებულ გალის რაიონში ეთნიკური ქართველების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ვითარებაც.

საოკუპაციო ძალა და დე-ფაქტო რეჟიმი, დისკრიმინაციული მიზნების განსახორციელებლად, აქტიურად იყენებენ „სამურზაყანოელი აფხაზის“ გამოგონილ ცნებას და მისი დამკვიდრების მიზნით შექმნილ ე.წ. ორგანიზაციებს.

არსებული მდგომარეობის შესწავლითა და ანალიზით ირკვევა, ბოლო წლების განმავლობაში ქართული მოსახლეობის ეროვნული ნიშნით დევნის პროცესი ახალი ძალით განახლდა და გაცილებით მასიური გახდა.

კერძოდ, აფხაზური პასპორტის აღებით და ეთნიკურ აფხაზად აღიარებით ოკუპირებული გალის მცხოვრები იღებს ყველანაირ შეღავათს, ხოლო საქართველოს მოქალაქეობის ქონის ან იდენტობის შენარჩუნებით, მას ხელოვნური ბარიერები ექმნება, რათა მძიმე ყოფაში მყოფს გაუჩნდეს სურვილი აფხაზად ჩაწერისა. ამას კი დამატებით ხელშემწყობად ახლავს გალის რაიონის სკოლებში ქართული ენის აკრძალვა და რუსულ-აფხაზურის შემოღება, აგრეთვე, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება, სადაც ხაზგასმულია მათი ,,აფხაზური ერის“ ნაწილად ყოფნა. ხოლო ქართული მოსახლეობის იმ ნაწილის გასანეიტრალებლად, რომელსაც მსგავსი მეთოდებით ვერაფერს უხერხებენ, მიმდინარეობს ,,მეგრული ნაციის“ თვითშეგნების გაღვივება, რათა პირველ ეტაპზე მაინც ისინი მოწყვიტონ დანარჩენი კუთხის ქართველებს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი არაღიარებული რეგიონის მოსახლეობის ნაციონალური კუთვნილებით აღწერისას ქართველების და მეგრელების რაოდენობას ცალ-ცალკე განიხილავს.

2020 წლის დასაწყისი ოკუპირებულ აფხაზეთში მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებით აღინიშნა, რასაც ე.წ. ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოჰყვა.

რამდენადაც აფხაზეთში არსებული ყველა ე.წ. პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანება პრორუსულია, ე.წ. პოლიტიკოსების კარიერა სრულად არის დამოკიდებული მათ მიმართ რუსეთის ლოიალობაზე. შესაბამისად, ე.წ. კანდიდატები ვერაფერს ახალს ვერ სთავაზობდნენ ამომრჩეველს, ისინი კვლავინდებურად, ე.წ. წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩართვამდე მოსკოვში იყვნენ ჩასულები თავიანთი კანდიდატურების შესათავაზებლად, მორჩილების დასამტკიცებლად და ნებართვის ასაღებად. ეს კი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ნებისმიერი ე.წ. კანდიდატი გამარჯვების შემთხვევაში, კვლავაც რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნები 2020 წლის 22 მარტს ჩატარდა და მასში გამარჯვებულად ასლან ბჟანია გამოცხადდა.

შესაბამისად, როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების, ადამიანის უფლებების დაცვის, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების მხრივ არანაირი ძირეული ცვლილებები არ მომხდარა.

ისედაც გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ოკუპირებულ რეგიონში კიდევ უფრო დაამძიმა კოვიდ-19 პანდემიამ და ჩავარდნილმა 2020 წლის ტურისტულმა სეზონმა. მართალია მარიონეტულმა რეჟიმმა მიმდინარე წლის ივლისიდან დაუშვა რუსეთის ფედერაციიდან ტურისტების შემოშვება, მაგრამ აღნიშნულმა ადგილობრივი მაცხოვრებლების კეთილდღეობაზე ვერანაირი დადებითი ეფექტი ვერ იქონია.

ოკუპირებული რეგიონი ფინანსურად კვლავაც დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბიუჯეტზე. 2020 წლის 20 მაისს, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველ მოადგილესა და რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ე.წ. სრულუფლებიან ელჩს შორის ხელი მოეწერა საბიუჯეტო ინვესტიციების შესახებ შეთანხმებას. აღნიშნული ინვესტიციები მიმართული უნდა ყოფილიყო ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით კულტურის, განათლების, ჯანდაცვის და ე.წ. სახელმწიფო მართვის კუთხით ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისთვის.[1]

რუსეთის სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში, რუსეთის ფედერაციიის ბიუჯეტიდან 2020 წელს დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტში (ინფორმაციისთვის, ოკუპირებული აფხაზეთის ბიუჯეტი 8 მლრდ. რუბლია) გადმოსარიცხმა თანხამ 5,5, მლრდ. რუბლი შეადგინა.[2]

ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის ფედერაციის მიერ თავისი ინტერესების გატარების ნათელი მაგალითია რუსეთის ფედერაციასა და მარიონეტულ რეჟიმს შორის „ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ“ ე.წ. პროგრამის დაამტკიცება, რომელიც აფხაზეთის ე.წ. კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს.

განცხადება პროგრამის შესახებ, რომელიც რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის 2014 წლის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულებას ეფუძნება, პირველად 23 ნოემბერს მას შემდეგ გაკეთდა, რაც ასლან ბჟანია 12 ნოემბერს სოჭში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შეხვდა.

ე.წ. პროგრამა, რომელიც 2-3 წლის ვადაში ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს, 45 დამოუკიდებელი პუნქტისგან შედგება და ავალდებულებს აფხაზურ მხარეს, რომ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები განახორციელოს რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანდაცვის და პოლიტიკურ სფეროებში, როგორებიცაა – სოხუმსა და მოსკოვს შორის ორმაგი მოქალაქეობის საკითხის რეგულირება, რეგულარული სამედიცინო მომსახურების შესახებ სამართლებრივი აქტის ამოქმედება, ოკუპირებული რეგიონის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და საინვესტიციო პარტნიორობის შესახებ კანონის შემუშავება.

აგრეთვე, ე.წ. პროგრამა ითვალისწინებს ე.წ. საკანონმდებლო პროცედურების გამარტივებას რუს ინვესტორთათვის, მათ შორის, „ბინადრობის ნებართვის“ მოპოვების, მათი საქმიანობების დარეგისტრირების, საგადასახადო ე.წ. კანონმდებლობის რუსულ მოდელთან ჰარმონიზაციის, განათლების სისტემის შესახებ კანონის მიღების და სხვა იმ

---

[1] https://www.economy.gov.ru/material/news/minekonomrazvitiya_rossii_s_ministerstvami_finansov_abhazii_i_yuzhnoy_osetii_podpisali_mezhdunarodnye_soglasheniya_dlya_okazaniya_finansovoy_pomoshchi_respublikam_s_rossiyskoy_storony.html

[2] https://www.rbc.ru/politics/04/10/2020/5f772ece9a79471ee5c48d35).

მნიშვნელოვანი კომპონენტების თვალსაზრისით, რასაც თანდათან ოკუპირებული რეგიონის კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან დაახლოება მოჰყვება.[3]

ე.წ. დოკუმენტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია აფხაზური საზოგაოების ნაწილში, რომელიც ხელმოწერილ ე.წ. შეთანხმებაში ე.წ. სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხეს ხედავს.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებულ რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 სამხედრო ბაზაზე პერიოდულად ხორციელდებოდა გეგმური როტაციები, შეიარაღების და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განახლება. ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობების და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა ათეულობით სხვადასხვა ტიპის სამხედრო წვრთნა.

მოცემულ ჭრილში, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 22 ივნისს, ქ. ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ, 43-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუცია - „თანამშრომლობა საქართველოსთან“ მიიღო.

რეზოლუციაში ადამიანის უფლებათა საბჭო გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ეთნიკური ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ დაფიქსირებული სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის, სიცოცხლის უფლების დარღვევის, თავისუფლების აღკვეთის, უკანონო დაკავებებისა და გატაცებების, საკუთრების უფლებისა და ჯანდაცვის უფლების დარღვევის, ასევე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების მიზანმიმართული ნგრევის პრაქტიკის განახლებასთან დაკავშირებით და ეთნიკური ქართველების სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე დაუსჯელობის გამო.

რეზოლუცია ასევე გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და მის მიღმა მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის განგრძობითი პროცესის გამო და ხაზს უსვამს, რომ ორივე რეგიონში ადამიანის უფლებთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა გადაადგილების თავისუფლებაზე მზარდი შეზღუდვების შემოღებით.

რეზოლუცია საუბრობს იმ ნეგატიურ შედეგებზეც, რასაც ე.წ. გადასასვლელების ჩაკეტვა იწვევს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობაზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებს იქ არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის იზოლაციას.

ამასთანავე, დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები, კვლავაც ვერ ახერხებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებას.[4]

---

[3] https://apsadgil.info/news/politics/aslan-bzhaniya-o-prodazhe-nedvizhimosti-grazhdanam-rf-argumentatsiya-nashikh-soyuznikov-mne-ponyatna/

[4] https://mfa.gov.ge/News/gaeros-adamianis-uflebata-sabchom-saqartvelos-okup.aspx?CatID=5

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის კუთხით სავალალო მდგომარეობაზეა საუბარი ეუთო-ს 27-ე მინისტერიალზე საქართველოს მეგობართა ჯგუფის მიერ მიღებულ საქართველოს მხარდამჭერ განცხადებაში, რომელშიც ვკითხულობთ, „ჩვენ შეშფოთებულები ვართ რუსეთის ფედერაციისა და სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების მხრიდან მომდინარე პროვოკაციებით, რომლებიც COVID-19 პანდემიის ფონზეც კვლავინდებურად გრძელდება. ჩვენ განსაკუთრებით შეშფოთებულნი ვართ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ მავთულხლართების და სხვა ხელოვნური ბარიერების დამონტაჟებისა და საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ხანგრძლივის დახურვის გამო. ამ ქმედებებმა გამოიწვია ადგილზე სიტუაციის დესტაბილიზაცია და ნეგატიურად აისახა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში, განსაკუთრებით ახალგორსა და გალში მყოფი მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, დაცულობაზე, კეთილდღეობასა და ჰუმანიტარულ პირობებზე“.[5]

მეთოდოლოგია

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ოკუპირებულ რეგიონში ვერ ხერხდება ჩასვლა და მიმდინარე მოვლენებზე, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ, ინფორმაციის მოპოვების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება და კვლევების ჩატარება.

შესაბამისად, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, როგორც აღინიშნა, მიმდინარე მოვლენებსა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ, ეყრდნობა უცხოურენოვან მედიაში, სოციალურ ქსელებსა და ექსპერტ-ანალიტიკოსების პუბლიკაციებში გომოქვეყნებულ ინფორმაციას.

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი მუდმივად მოიპოვებს ღია წყაროებით გავრცელებულ ინფორმაციას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების თაობაზე, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევების უხეში ფაქტების შესახებ და მოთხოვნის შესაბამისად გადასცემს დაინტერესებულ უწყებებს. კერძოდ, მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებულ იქნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოში რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექციისთვის.

ანგარიშის მომზადებისას, ოკუპირებული რეგიონიდან ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა თანამშრომლობა საკონტაქტო პირებთან, სატელეფონო ინტერვიუების და პირადი შეხვედრების სახით, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ინფორმაციის მოპოვება და და შემდგომში დამუშავება. ასევე, ვაწარმოებდით

[5] (https://mfa.gov.ge/News/euto-s-27-e-ministerialze-saqartvelos-megobarta-jg.aspx?CatID=5).

ოკუპაციის თემატიკაზე მომუშავე ქართულენოვანი და რუსულენოვანი მედიასაშუალებების ყოველდღიურ მონიტორინგს.

მინისტრის აპარატი ინტერესდებოდა ინფორმაციის მიღებით შემდეგი მიმართულებით: არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თავისუფლად გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები, ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით უკანონო დაკავებების ფაქტები, ე.წ. ახალი აფხაზური პასპორტების და ე.წ. ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცესი, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა, კრიმინოგენური ვითარება, პანდემიის პირობებში ჯანდაცვის სერვისზე დროულად წვდომის საკითხები და სხვა. სატელეფონო ინტერვიუებით და თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულ პირთაგან 7 საკონტაქტო პირი გამოიკითხა.

თავისუფლად გადაადგილების უფლება

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენათაგან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე.წ. პასპორტიზაციის ახალი პროცესი და ეთნიკური ქართველების მიმართ ახალი დისკრიმინაციული რეგულაციების შემოღება, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა არაღიარებულ რეგიონში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ისედაც რთული ვითარება.

პირველად ადმინისტრაციულ საზღვარზე შეზღუდვები 27 თებერვალს შემოიღეს. 14 მარტს კი – მდინარე ენგურზე არსებული ერთადერთი გამშვები პუნქტი გაურკვეველი ვადით ჩაიკეტა.

2020 წლის მანძილზე ე.წ. ენგურის ხიდი რამდენიმეჯერ გაიხსნა:

1) 26-31 მაისი (ე.წ. საზღვარი 532 ადამიანმა გადაკვეთა)
2) 22-24 ივნისი (1 111 აადამიანი)
3) 13-17 ივლისი (1 269 ადამიანი)
4) 05-09 აგვისტო (1 289 ადამიანი)

16 ოქტომბერს, მარიონეტულმა რეჟიმმა ენგურის გამშვები პუნქტი ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები იმ მოქალაქეებისთვის გახსნა, რომლებიც პენსიებსა და სოციალურ დახმარებებს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იღებენ.

ამასთან ერთად, 3-დან 10 დეკემბრამდე დე-ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფი ე.წ. ახალი აფხაზური პასპორტების მფლობელებისა და რეგიონის მცხოვრებთათვის უკან დასაბრუნებლად ენგურის გამშვები პუნქტი გახსნა.

გასათვალისწინებელია, რომ ოკუპირებულ რეგიონში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს დაბრუნების ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ ისინი საქართველოს სამედიცინო დაწესებულების მიერ ენგურის

ხიდის გადაკვეთამდე არაუგვიანეს 72 საათის წინ გაცემულ კოვიდ-19-ის ტესტის უარყოფით პასუხს წარადგენენ.[6]

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით მწვავედ დგას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ეროვნების მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილების საკითხი, რაც პირდაპირ აისახება ენგურს მიღმა მცხოვრებთა ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევს საშუალებას მოიპოვონ საარსებო წყარო, ივაჭრონ, მოინახულონ ნათესავები, მიიღონ საჭირო სამედიცინო სერვისები. ამასთან ერთად, დე-ფაქტო ხელისუფლების აღნიშნული ქმედება აშკარად დისკრიმინაციულია და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართული ეროვნების მოსახლეობას უქრობს ღირსების გრძნობას, თავდაჯერებულობას და ნდობას. გარდა ამისა, ყოველივე ჩამოთვლილი, უარყოფითად აისახება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული მექანიზმია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხებსა და ჰუმანიტარულ საჭიროებებზე მოლაპარაკების საწარმოებლად.

ენგურის ხიდის ჩაკეტვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთ (ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები) ეზღუდებათ არა მარტო გადაადგილების, არამედ განათლების და სახელმწიფო სერვისების მიღების უფლება. მარიონეტული რეჟიმის ეს პროვოკაციული გადაწყვეტილება მძიმედ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზეც, რადგან გალის ან სოხუმის ბაზარში, რომელიც რუსული პროდუქტით არის გაჯერებული, სურსათის შეძენა გაცილებით მაღალ ფასად მოუწევთ. აგრეთვე, ე.წ. საზღვრის ჩაკეტვით ისინი მოკლებული იქნებიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ნათესავებსა და ოჯახის წევრებთან ყოველდღიურ ურთიერთობას.

თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვაზეა საუბარი ევროპის საბჭოს „საქართველოში კონფლიქტის შესახებ ანგარიშში“, რომელიც 2020 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა. დოკუმენტში ვკითხულობთ 65 წლის ოთარ ჯობავას ტრაგიკულ დაღუპვის შესახებ, რომლის ცხედარიც საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, მ/წ 26 აგვისტოს სოფელ ორსანტიაში მდინარე ენგურმა გამორიყა. გარდაცვლილის ახლობლები ყვებიან, რომ ოთარ ჯობავა მდინარის გადმოლახვას პენსიასთან დაკავშირებული საბუთების მოსაგვარებლად ცდილობდა. ერთადერთ გზად კი ზუგდიდში მოსახვედრად, ჩაკეტილი ე.წ. საზღვრის პირობებში, ენგურის გადმოცურვა მიიჩნია.[7]

გარდა ზემოაღნიშნულისა, მარიონეტული რეჟიმი წლებია უკვე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მიზეზებს იყენებს თავისუფლად გადაადგილების შესაზღუდად.

ამის შესახებ ვკითხულობთ დე-ფაქტო ომბუდსმენის ანგარიშშიც, რომელშიც ასიდა შაკრილი, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, საუბრობს მარიონეტული რეჟიმის

[6] https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20201202/1031392053/Abkhaziya-otkroet-vremennyy-koridor-na-granitse-s-Gruziey.html

[7] https://civil.ge/ka/archives/384664

პოლიტიკაზეც, რომელიც ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციისკენაა მიმართული.

ასიდა შაკრილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ენგურის ხიდზე გადასვლა ოკუპირებული გალის მოსახლეობის უმეტესობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი მკურნალობას და სხვადასხვა სოციალურ შემწეობებს სწორედ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იღებენ.[8]

ასიდა შაკრილი შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ოკუპირებული გალის ქართულენოვან მოსახლეობას ე.წ. აფხაზური პასპორტების აღებისას პრობლემები ექმნება, რისი მიზეზიც ადგილობრივი დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ განზრახ შექმნილი სხვადასხვა დაბრკოლებაა.

ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ა/წ 28 მარტს 00:00- დან 06:00 სთ-მდე კომენდანტის საათი მხოლოდ ოკუპირებული გალის რაიონში ამოქმედდა.

დე-ფაქტო ადმინისტრაციის იურისტმა ინალ ქუჩუბერიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ამის შესახებ განკარგულებას დე-ფაქტო გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ბგანბამ მოაწერა ხელი.

ინალ ქუჩუბუბერიას თქმით, აღნიშნული ე.წ. განკარგულება გამოწვეულია იმ აუცილებლობის გამო, რომ ბოლო დროს, მდინარე ენგურზე, ოკუპირებული გალის რაიონის ქვედა და ზემო ზონის სოფლებში გახშირდა ადმინისტრაციული საზღვრის ე.წ. უკანონო გადმოსვლის ფაქტები.

ინალ ქუჩუბერიამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საზღვრის მთელი პერიმეტრი კონტროლდება დე-ფაქტო ძალოვანი სტრუქტურების და რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სამსახურის ქვედანაყოფების მიერ.

დე-ფაქტო ადმინისტრაციის ე.წ. იურისტმა ინტერვიუს dalასრულს განაცხადა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ეზღუდება გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის შემთხვევაში თან უნდა იქონიონ ე.წ. პირადობის დამადასტურებელი საბუთები.[9]

პასპორტიზაცია

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული ეროვნების მოსახლეობის ე.წ. პასპორტიზაციის და ე.წ. სამართლებრივი სტატუსის საკითხი დღემდე ბუნდოვანი და გაურკვეველია.

---

[8] https://ombudsmanra.org/upload/iblock/158/1588f1a7fe9ccbb552c204a002daccb2.pdf

[9] https://sputnik-abkhazia.ru/coronavirus/20200328/1029773855/Vynuzhdennaya-mera-komendantskiy-chas-vveli-v-Galskom-rayone.html?fbclid=IwAR2lZLwWdJT2eAzx8MDp6GYO-MusjwZC_HDXqROdQsDvYc75J4ZnahH2rTI

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების „ლეგიტიმურად“ ყოფნას უზრუნველყოფს ორი ე.წ. დოკუმენტი. პირველი, ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქის ე.წ. პასპორტი და ე.წ. ბინადრობის ნებართვა.

ბინადრობის ნებართვის გაცემის თემაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ე.წ. კანონმდებლობით რეგულირდება. კერძოდ, „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ აფხაზეთის რესპუბლიკის ე.წ. კანონით, რომელშიც ვკითხულობთ, რომ არსებობს ბინადრობის გაცემის ორი საფუძველი:

1. „ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც იმყოფება ქორწინებაში აფხაზეთის მოქალაქესთან;
2. კანონიერი საფუძვლის არსებობისას მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც 1999წლის 12 ოქტომბრიდან არანაკლებ 10 წლისა მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე....“

ნაკლებად საუბრობენ იმაზე, რომ 2016 წლის მიწურულს, ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ე.წ. კანონში ცვლილებები შეიტანა. აღნიშნული ე.წ. ცვლილება არეგულირებს არაღიარებული რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონის (გალის რაიონი) მოსახლეობის სამართლებრივ მდგომარეობას.

ე.წ. ცვლილება ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემის მესამე საფუძველს და ეს არის ბინადრობის ნებართვის გაცემა არა მოქალაქეობის არმქონე პირზე არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც დაბადებულია აფხაზეთის ასსრ-ს გალის რაიონში და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან არა ნაკლებ 10 წლისა.

ეს ე.წ. ცვლილებაც ვერ არეგულირებს სათანადოდ არსებულ პრობლემას, არის აშკარად დისკრიმინაციული და მისი მიხედვით ე.წ. ბინადრობის ნებართვის მიღება არ შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან, არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ დაბადებულნი არ არიან აფხაზეთის ასსრ-ს ქ. გალში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს აფხაზეთის მოქალაქის ე.წ. პასპორტის მფლობელი ქართველი მოსახლეობის დევნა. მათ აიძულებენ ჩააბარონ ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტები და აიღონ ბინადრობის ნებართვა როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მობინადრე ქართველებთან საუბრისას ირკვევა, რომ დე-ფაქტო ძალოვან სტუქტურებში მათ ეუბნებიან, რომ გააჩნიათ ოპერატიული ინფორმაცია მათი საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესახებ, ან კიდევ, მაგალითად, თემურ ნადარაია, რომელიც გამოირჩევა ქართველი მოსახლეობისადმი გამოკვეთილად ნეგატიური დამოკიდებულებით, ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობს იმაზე, რომ ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს გააჩნია საქრთველოს მოქალაქეების მონაცემთა ბაზა, რაც უდავოდ მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი მოწოდებებისა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიმართ, რომ ამ უკანასკნელმა შეწყვიტოს საქართველოს

ადმინისტრაციულ საზღვრზე ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა, რომლებიც ართულებენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს, ის მაინც აგრძელებს თავისი ოკუპაციური პოლიტიკის განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი, დადასტურებული მონაცემები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაცემული ე.წ. ახალი ტიპის აფხაზური პასპორტების და ე.წ. ბინადრობის ნებართვების რაოდენობის შესახებ, არ არსებობს. ვითარების ასახვისათვის, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ დე-ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ჩატარებული თათბირი, რომელიც 2020 წლის 18 თებერვალს ჩატარდა და ეხებოდა მოსახლეობისთვის ე.წ. ახალი ტიპის პასპორტების გაცემის საკითხს.

თათბირს ესწრებონენ დე-ფაქტო გენერალური პროკურორი ადგურ აგრბა, დე-ფაქტო უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ბესლან კვიცინია, დე-ფაქტო შს მინისტრი რაულ სმირი და დე-ფაქტო საპასპორტო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვადიმ კვაძბა.

თათბირზე სიტყვით გამოსვლისას, ვადიმ კვაძბამ ე.წ. პასპორტიზაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები წარადგინა.

დე-ფაქტო საპასპორტო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ძველი ე.წ. პასპორტის ახლით შეცვლის თაობაზე სულ **შემოსულია 148591** განცხადება. **გაცემულია 141319** ე.წ. ახალი ტიპის პასპორტი. მზადაა გაცემისთვის, მაგრამ მოქალაქეებს **არ გაუტანიათ 2034** ე.წ. პასპორტი. ე.წ. პასპორტიზაციის პერიოდში **ანულირებულია 2262** ე.წ. პასპორტი.

ე.წ. **ბინადრობის ნებართვაზე** საუბრისას, ვადიმ კვაძბამ, აღნიშნა, რომ მიღებულია **27230 განცხადება** და **გაცემულია 19527** ე.წ. დოკუმენტი.[10]

უკანონო დაკავებები

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული შეზღუდვები მუდმივად ატარებს პროვოკაციულ ხასიათს. 2020 წლის დასაწყისიდანვე, სახეზე იყო საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებული უკანონო დაკავებები, რომლებიც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოსთან იყო კოორდინირებული.

მაგალითისთვის,

აფხაზეთის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, დააკავეს საქართველოს 3 მოქალაქე.

მათი განცხადებით, დაკავება 6 ივნისს ალაკუმხარაში (ლეკუხონა) მოხდა. დაკავებულები არიან 1990 წელს დაბადებული ბუთხუზ კვირკვია, 1987 წელს დაბადებული მიხეილ ლამანძია და 1992 წელს დაბადებული მათე ლამანძია.

[10] https://www.km-ra.org/news/valeriy-bganba-provyel-soveshchanie-po-voprosam-pasportizatsii-grazhdan-abkhazii.html

მათ წინააღმდეგ აღძრულია საქმე წინასწარი განზრახვით ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის საქმეზე ისინი აფხაზეთის უსაფრთხოების სამსახურის წინასწარი მოათავსების იზოლატორში იმყოფებიან.[11]

უკანონო პატიმრობაში მყოფი ირაკლი ბებუას პროცესი 2020 წლის 7 დეკემბერს ჩატარდა. ე.წ. გამოძიება მას იარაღის უკანონოდ შენახვას, ე.წ. სახელმწიფო გერბის ან დროშის შეურაცხყოფას და ხულიგნური ქვენაგრძნობით აფეთქებით ან სხვა საზოგადოებისთვის სახიფათო გზით ქონების განზრახ განადგურებას ედავებოდა.

ოკუპირებული გალის რაიონულმა სასამართლომ ირაკლი ბებუა წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და 9 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა სასჯელის კოლონიაში მოხდით. აგრეთვე, ირაკლი ბებუას დაეკისრა ჯარიმის გადახდა 10 000 რუბლის ოდენობით.

ირაკლი ბებუა 15 დღეს ოკუპირებული გალის ე.წ. წინასწარი დაკავების იზოლატორში გაატარებს და ამავე პერიოდში მას ექნება საშუალება გაასაჩივროს ე.წ. განაჩენი.

ინფორმაციისთვის, მ/წ 30 სექტემბერს, ირაკლი ბებუამ ოკუპირებული გალის ცენტრში მდებარე კულტურის სახლის წინ აფხაზური დროშის ფერებში გამოფენილი ბანერი დაწვა, რითაც, მისივე განმარტებით, მას სურდა აფხაზებისა და ქართველების მეგობრულად ცხოვრების სურვილი გამოეხატა.

ირაკლი ბებუას აღნიშნული ქმედება დროში დაემთხვა ე.წ. „გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის“ დღეს და ამიტომაც აფხაზურ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. სოციალური ქსელების აფხაზურენოვანი სეგმენტის ზოგიერთი მომხმარებელი ოკუპირებული აფხაზეთიდან მის გაძევებას, ზოგიც კი, მისი სიკვდილით დასჯას მოითხოვდა.[12]

საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, საკუთარი ნების შესაბამისად და სხვათა ინტერესების შეულახავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას.

ადამიანის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელად სარგებლობის უფლება“.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილების, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლება განმტკიცებული და დეკლარირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, პინეიროს პრინციპებით, გაერო-ს და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მრავალი რეზოლუციებით.

---

[11] http://sgbra.ru/index.php?ELEMENT_ID=446

[12] https://sputnik-abkhazia.ru/news/20201208/1031425214/Za-podzhog-flaga-i-khranenie-oruzhiya-zhitelyu-Gala-vynesli-prigovor.html.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე უძრავი ქონების გასხვისების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მტკივნეულია.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. კანონის განხილვა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს უძრავი ქონების გასხვისების საკითხი, გადადებულია, ვნებათაღელვა ამ თემის ირგვლივ მაინც არ წყდება.

უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების საკითხი უკვე კარგა ხანია ეკონომიკურიდან პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა და ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების განცხადებების რადიკალიზაციის ფონზე შესაძლოა, ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური მღელვარების წინაპირობად იქცეს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში უძრავი ქონება ძირითადად წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრებას. აღნიშნული პირების საკუთრების უფლების შესახებ საუბარია იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებშიც. აღნიშნული დოკუმენტის 21-ე მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს „არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვათ საკუთრება“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილში კი ვკითხულობთ, „იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრება დაცული უნდა იყოს განადგურებისგან, თვითნებური და უკანონო დაკავებისა და გამოყენებისგან“.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოძიება გართულებულია, შესაბამისად რთულდება ზუსტი შეფასების გაკეთება.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე საცხოვრებელი უძრავი ქონების გასხვისება ე.წ. კანონმდებლობით აკრძალულია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მიწა ოკუპირებულ აფხაზეთში არ იყიდება. მოცემული საკითხი მკაფიოდ არის გაწერილი ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. კონსტიტუციის მე-5 მუხლსა და „მიწის კოდექსის“ მე-3 მუხლში.

რაც შეეხება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებას, იგი იყოფა ორ ნაწილად:

1) კომერციული უძრავი ქონება.
2) საცხოვრებელი უძრავი ქონება.

კომერციული უძრავი ქონება-აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კომერციული უძრავი ქონების შეძენისას არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეების მსგავსად, შეუძლიათ იყიდონ ან ააშენონ კომერციული ობიექტები.

ინფორმაციისთვის, როდესაც საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ოკუპირებულ აფხაზეთში ასეთებად მოიაზრებიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი ე.წ. კონონმდებლობით, რუსეთის მოქალაქეს ან არაღიარებულ რეგიონში რუსეთის მოქალაქის მონაწილეობით დაფუძნებულ იურიდიულ პირს შეუძლია დაიწყოს ნებისმიერი კომერციული საქმიანობა, ააშენოს სასტუმრო, შექმნას საწარმო, ფერმა და ა.შ. რის შესაძლებლობასაც მოკლებულნი არიან ქართული ეროვნების საქართველოს მოქალაქეები.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, აფხაზურ საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ სანაპირო ზოლში მდებარე კომერციულად მომგებიანი ყველა ობიექტი უკვე დიდი ხანია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საკუთრებას წარმოადგენს. ამის შესახებ ღია ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა სოციალურ ქსელებში ხშირად წერენ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ხშირია შემთხვევები, როდესაც რუსმა ბიზნესმენმა სასტუმროების ბიზნესში მსხვილი ინვესტიციების განხორციელების შემდეგ, გამონაკლისის სახით, ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობა მიიღო და აშენებული უძრავი ქონება საკუთრებაში გაიფორმა.

საცხოვრებელი უძრავი ქონება-რაც შეეხება საცხოვრებელ უძრავ ქონებას, მისი შეძენა მხოლოდ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეებისთვის არის შესაძლებელი და მოცემული საკითხი რეგულირდება „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ და „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ე.წ. კანონებით.

ოკუპირებულ აფხაზეთში დღემდე ადგილი აქვს დევნილების კუთვნილი ბინების (სახლების) უკანონო განკარგვას, რაც ცალსახად არღვევს იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლებას, რადგან აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე სახლების (ბინების) უმეტესობა სწორედ იმ დევნილებს ეკუთვნით, რომელთაც მრავალი წლის მანძილზე არ ეძლევათ საკუთარ სახლში დაბრუნების შესაძლებლობა.

ამასთან, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ დატოვებული ქონება პოლიტიკური სპეკულაციების, უკანონო და კორუფციული გარიგებების საბაბი ხდება.

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალი მოწოდებისა, თავი შეიკავონ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლების დარღვევით დევნილთა საკუთრებაში არსებული ქონების შეძენისა და განკარგვისაგან, მარიონეტული მთავრობა მაინც აგრძელებს საკუთრების უფლების უხეში დარღვევის პოლიტიკის გატარებას.

დე-ფაქტო ხელისუფლების და რუსეთის ფედერაციის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების ხშირ შეხვედრებსაც ამ საკითხს უკავშირებენ.

მოცემულ თემაზე საუბრისას ყურადსაღებია, რომ რუსეთის ფედერაციასა და მარიონეტულ რეჟიმს შორის „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამის შესახებ“ ე.წ. შეთანხმებაში[13], რომელსაც ხელი 2020 წლის 12 ნოემბერს მოეწერა, მე-2 პუნქტში ვკითხულობთ, „აფხაზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმაგი მოქალაქეობის საკითხის შემუშავება და ხელმოწერა“, რომელზეც მუშაობა 2021 წელს უნდა დასრულდეს, რაც სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთის ე.წ.

[13] http://presidentofabkhazia.org/doc/mezhdunarodnye-dogovory.php

მოქალაქეობის მიღების გამარტივების პროცედურას ეხება, აგრეთვე, ამავე ე.წ. დოკუმენტის მე-11 პუნქტში ვკითხულობთ, რომ 2021-2022 წლებში შემუშავებულ და მიღებულ უნდა იქნეს ე.წ. ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ, საკრედიტო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რუსულ ბანკებში ჩადებული ქონების ამოღების საშუალებას.[14]

საგულისხმოა, რომ დე-ფაქტო პრეზიდენტმა „საზოგადოებრივი პალატის" წევრებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ე.წ. პროგრამის პირველ რედაქციაში შეტანილი იყო პუნქტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აძლევდა საშუალებას ოკუპირებულ აფხაზეთში მდებარე საცხოვრებელი უძრავი ქონების შეძენის უფლებას, მაგრამ აფხაზურ საზოგადოებაში ნეგატიური რეაქციის თავიდან ასაცილებლად აღნიშნული პუნქტი ამოღებულ იქნა.[15]

ცხადია, რომ მძიმე-სოციალურ-ეკონომიკური ვითარების პირობებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ რუსულ ბანკებში დიდი რაოდენობით, უმეტესად ქართველი მოსახლეობის მიერ იძულებით დატოვებული, საცხოვრებელი უძრავი ქონება დაიტვირთება სესხებით.

ყურადსაღებია, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ირღვევა ასევე სხვა ეროვნების ადამიანების სუკუთრების უფლებაც.

რუსულენოვან პრესაში და სოციალურ ქსელებში ხშირად ჩნდება პუბლიკაციები, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეების საკუთრების უფლების დარღვევას და მათზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს ეხება, რაც ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობაში სერიოზულ დაძაბულობას ქმნის.

საერთოდაც, ბოლო დროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული საცხოვვრებელი უძრავი ქონებით რუსი მაღალჩინოსნების მხრიდან დაინტერესებამ საგრძნობლად იმატა. რუსულენოვან პრესაში ხშირად ვხვდებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის და დეპუტატ ზატულინის სტატიებს მოცემულ თემაზე.

აგრეთვე, არის შემთხვევები, როდესაც დევნილების (ქართველები, რუსები, ბერძნები და სხვა) მიერ იძულებით მიტოვებული, საცხოვრებლად ვარგისი ბინები (სახლები) კორუფციული სქემით გადააქვთ არასაცხოვრებელ ფონდში და შემდეგ უკანონოდ ისაკუთრებენ. მაშინ დაზარალებულები სასამართლო იწყებენ დაიწყეს, მაგრამ მათთვის ეს უშედეგოდ სრულდება.

ოკუპირებულ აფხაზეთში უძრავ ქონებას ხშირად, კანონიერი რუსი, სომეხი, ბერძენი ეროვნების მფლობელი უჩნდება. იწყება სასამართლო დავები, რომლებიც როგორც წესი მოსარჩელის დაშინებით ან მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით მთავრდება.

ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოლო დროს რუსეთში აგორებული სკანდალი, კერძოდ," 2020 წლის 30 ოქტომბერს გადაცემაში „Человек и закон გასული ვრცელი სიუჟეტი ეხებოდა ოკუპირებული აფხაზეთის და რუსეთის მოქალაქეების

[14] http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/dc5/programma-_1_.pdf

[15] https://apsadgil.info/news/politics/aslan-bzhaniya-o-prodazhe-nedvizhimosti-grazhdanam-rf-argumentatsiya-nashikh-soyuznikov-mne-ponyatna/

ქონებრივი უფლების დარღვევას, რაზეც დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმა ბადრა გუნბამ გასცა პასუხი, რომ ქონება თავის დროზე პრივატიზებული არ იყო და ამიტომაც, მათი ბრალდებები უსაფუძვლოა.

საკუთრების უფლების დარღვევის მხრივ, განსაკუთრებით მძიმეა ვითარება გალის რაიონში, სადაც ადგილობრივ ქართველი ეროვნების ადამიანებზე მიმდინარეობს აშკარა ზეწოლა და მათი ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა, რაც მიზნად ისახავს ისეთი გაუსაძლისი პირობების შექმნას, რომელიც გამოიწვევს მათ მიერ ოკუპირებული გალის რაიონის დატოვებას.

ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გალის დე-ფაქტო ადმინისტრაციის ყოფილი ე.წ. ხელმძღვანელის ინტერვიუ, რომელშიც აღწერილია ე.წ. ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცესი და მიზნები.

თემურ ნადარაიას თქმით, ე.წ. ბინადრობის ნებართვის გაცემას წინ უძღოდა ძველი ე.წ. „საბინაო წიგნების“ ამოღება და გალის რაიონის ქართულენოვანი მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგადაც გამოვლენილ იქნა 4 000 პირი, რომლებიც მართალია პერიოდულად ჩამოდიან თავიანთ სახლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის და მოსავლის ასაღებად, მაგრამ მუდმივად ცხოვრობენ მდ. ენგურის გაღმა.

ამ კატეგორიის მოქალაქეებს თემურ ნადარაია უწოდებს „ყოფილ გალელებს“ .

მისი განმარტებით, ასეთ პირებს უკანონოდ გაცემული აფხაზეთის მოქალაქის პასპორტები ჰქონდათ. ხოლო ახლა მათი ამოცანაა არ დაუშვან, რომ მათ ბინადრობის ნებართვა აიღონ, რის შედეგადაც ისინი თავის კუთვნილ უძრავ ქონებას სრულად ვერ განკარგავენ.

 დე-ფაქტო ადმინისტრაციის ყოფილი ე.წ. ხელმძღვანელის განმარტებით, ასეთი პირებისთვის ოკუპირებული გალის რაიონში შესასვლელად ე.წ. ვიზების აღება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

მითითებული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება ოკუპირებულ გალში მცხოვრებ ქართველი ეროვნების ადამიანებს, ღირსეულად ცხოვრების და თავისი შეხედულებისამებრ კუთვნილი ქონების განკარგვის უფლებას ართმევს.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებულმა გაუგებარმა ვითარებამ აფხაზური საზოგადოება ორად გაყო.

პირველი ნაწილი თვლის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა გამოიწვევს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასობრივ ჩასახლებას ოკუპირებულ აფხაზეთში, რაც უარყოფითად აისახება ისედაც მცირერიცხოვან აფხაზურ ეთნოსზე, მოხდება მისი ასიმილაცია და შედეგად, გამოიწვევს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

მეორე ნაწილი კი თვლის (ე.წ. პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან დაახლოებული მოქალაქეების ვიწრო წრე და ნათესავები), რომ უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისების ე.წ. კანონის განხილვაზე მორატორიუმი უნდა მოიხსნას. მათი აზრით, უნდა შემუშავდეს ახალი კანონი, რომელიც ე.წ. რესპუბლიკის სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნის გარეშე დაარეგულირებს მოცემულ საკითხს. ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეების ამ კატეგორიას მიაჩნია, რომ

მყარი გარანტიებისა და უსაფრთხო ბიზნეს გარემოს გარეშე ინვესტიციების მოზიდვა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების უცხოელებზე გასხვისების მომხრეები, როგორც წესი, რამდენიმე ე.წ. სამხედრო ალაფით მიტაცებული ბინით (სახლით) უკანონოდ სარგებლობენ (ზოგიერთს აქირავებენ, ზოგიერთში სასტუმროები აქვთ გახსნილი და ზოგიც გასაყიდად აქვთ გატანილი).

ხშირ შემთხვევაში ეს უკანონოდ მიტაცებული ბინები (სახლები) მათ თავის სახელზე რეგისტრირებულიც კი არ აქვთ.

შეგახსენებთ, რომ უცხოელებზე უძრავი ქონების გასხვისების შესახებ კანონპროექტის განხილვაზე მორატოიუმის მოხსნის მცდელობის უშედეგოდ დასრულების შემდეგ, 2016 წლის 1 აგვისტოს, ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ, დე-ფაქტო პარლამენტში შეიტანა „უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც შემუშავებულ იქნა უცხო ქვეყნებიდან ინვესტიციების მოსაზიდად და განიხილება როგორც გარდამავალი ეტაპი საკადასტრო მონაცემებისა და უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის ერთიანი სრულყოფილი სისტემის შექმნის გზაზე.

რაულ ხაჯიმბას მიერ ინიცირებულმა კანონპროექტმა, რომლის მიხედვითაც ე.წ. მობინადრეები არარეგისტრირებულ უძრავ ქონებას ვერც გაყიდიან და ვერც გააჩუქებენ, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია უკანონოდ მიტაცებული ბინების ე.წ. მფლობელებში.

ეს ე.წ. კანონი დღემდე მოქმედებს და აქედან გამომდინარე, ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეები დაჩქარებული წესით დაკავებულნი არიან უკანონოდ მისაკუთრებული უძრავი ქონების გაფორმებით, რაც ბოლო პერიოდში ძალიან გართულდა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

მითითებული „უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ ე.წ.კანონპროექტი აფხაზურ საზოგადოებაში შეფასდა როგორც „უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გასხვისების შესახებ“ ე.წ. კანონის განხილვაზე მორატორიუმის მოხსნის წინაპირობა. ხოლო, მოქმედი ე.წ. კანონით, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერირორიაზე უძრავი ქონების მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ არაღიარებული რესპუბლიკის მოქალაქე.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისების საკითხზე საუბრისას, ყურადსაღებია, აფხაზურ და რუსულ მედიაში თუ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სტატიები (პუბლიკაციები, სტატუსები), სადაც მიზანმიმართულად მიმდინარეობს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული საინფორმაციო სააგენტოების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის მომზადება, რომ მხოლოდ რუსეთის ფედერაცია არის მათი სტრატეგიული პარტნიორი და რომ მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერით არის შესაძლებელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა, ე.წ. დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

დღეს არსებული მდგომარეობით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, საცხოვრებელ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ისედაც რთული სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. შეიძლება ითქვას,

რომ იძულებით გადაადგილებული პირების მიერ დატოვებული უძრავი ქონება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის წარმოადგენს საარსებო წყაროს. დღემდე ხდება სხვის კუთვნილ საცხოვრებელში შეჭრა და თაღლითური სქემებით გასხვისება.

ამასთან, ეკონომიკურად შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა არ ერიდება ახალაშენებულ, სხვის კუთვნილ ბინებში შეჭრასაც.

ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად ჩნდება პუბლიკაციები, ინტერვიუები სადაც ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლები და უბრალო მოქალაქეებიც კი საუბრობენ უცხოელებზე საცხოვრებელი უძრავი ქონების გასხვისებაზე შეზღუდვის გაუქმებაზე იმ მიზეზით, რომ სხვანაირად ინვესტიციების მოზიდვა შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა კუთვნილ და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებული მძიმე რეალიები გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ ზემოაღნიშნულ საკუთრების უფლების დარღვევაზე და სხვა მრავალ უფლებადარღვევაზე, რომლებიც საგრძნობლად აფერხებენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, პასუხიმგებლობა რუსეთის ინტერესების გამტარებელ დე-ფაქტო ხელისუფლებას და რუსეთის ფედერაციას, როგორც ფაქტიურად კონტროლის განმახორციელებელს, ეკისრება.

ქალთა უფლებები

ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მძიმეა ქალთა მდგომარეობა. იცვლება ქალის სოციალურ-ეკონომიკური როლი, რის გამოც ისინი მომეტებული საფრთხის რისკის ქვეშ არიან

არაღიარებულ რესპუბლიკაში არ არსებობს ძალადობისგან დაცვის მექანიზმები, კრიზისული ცენტრები, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისები. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლებები ექმნებათ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარიატი, ეუთოს უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისარიატი და ა.შ.

მართალია, სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით, ოკუპირებულ აფხაზეთში მიღებულ იქნა „ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ“ (Об обеспечении равных прав и возможностей для мужчин и женщин в Республике Абхазия).[16] ე.წ. კანონი, რომელიც აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, დასაქმების

[16]https://parlamentra.org/rus/regulatory/zakonodatelstvo/?arrFilter_DATE_ACTIVE_FROM_1=&arrFilter_DATE_ACTIVE_FROM_2=&arrFilter_pf%5Bspisok%5D=26&set_filter=%D0%A4%D0%B8%D0%BB%D1%8C%D1%82%D1%80&set_filter=Y

ადგილზე თანაბარი უფლებები, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოსათვის, კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და ა.შ. მაგრამ ე.წ. კანონის ეფექტურად მუშაობისთვის საკმარისი მექანიზმები არ არის შექმნილი, თუმცა, მისი არსებობა უკვე მეტყველებს პრობლემის აღიარებაზე.

ოკუპირებულ რეგიონში რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია მუშაობს ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და არაფორმალური განათლების მიმართულებით. საქართველოს სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობოების განცხადებით, აფხაზეთის საზოგადოებაში ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ რთულ და ამასთან, დაფარულ პრობლემას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ეთნიკური თავისებურებების გამო, აფხაზურ საზოგადოებაში არ არის მიღებული ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა. ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი აგრძელებს მოძალადე მეუღლესთან ცხოვრებას, რაც COVID-19-ის პირობებში კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. საუბარია არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ცალკეულ პიროვნებაზე, რომელიც სოციუმის ნაწილია და ამიტომაც ძალადობა სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, ოკუპირებულ აფხაზეთში ქალთა უფლებების დარღვევის დამადასტურებელია-ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, ე.წ. „ღირსების მკვლელობები“, აბორტის აკრძალვა აფხაზეთში და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შეზღუდვა.

ქალთა უფლებების დარღვევის კუთხით მნიშვნელოვანია 2020 წლის 29 ივნისს ე.წ. პარლამენტში დე-ფაქტო სახალხო დამცველის ანგარიში, რომლშიც ასიდა შაკრილმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ოკუპირებული აფხაზეთი ერთადერთია, რომელშიც ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა აბსოლუტურადაა აკრძალული. დე-ფაქტო სახალხო დამცველის თქმით, მსოფლიოს იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებშიც აბორტის აკრძალვა ამა თუ იმ რელიგიური ინსტიტუტების ისტორიულად ძლიერი პოზიციებითაა განპირობებული, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ე.წ. კანონმდებლობით რელიგიური ორგანიზაციები გამოყოფილნი არიან სახელმწიფოსაგან[17] და ამიტომაც, აბორტის აბსოლუტურად აკრძალვის მიზანშეწონილება რელიგიური კონტექსტით ვერ გამოდგება.

ასიდა შაკრილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში აბორტის დაშვების სამი გავრცელებული სახეობა არსებობს:

-ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა:

-სოციალური მახასიათებლების არსებობა, კერძოდ, ისეთი როგორიცაა გაუპატიურება, ინცესტი, საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნა და სხვა;

[17] (статья 5 Закона Республики Абхазия „О свободе совести и о религиозных объединениях http://apsnyteka.org/88-zakon_o_svobode_sovesti.html)

-ისეთი სამედიცინო ჩვენებების არსებობა, როდესაც მშობიარობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველია ან ანომალიის გამო შეუძლებელია ჯანმრთელი ბავშვის მშობიარობა;

დე-ფაქტო სახალხო დამცველის თქმით, ჩამოთვლილი გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ოკუპირებულ აფხაზეთში აბორტი დაშვებული არ არის, რაც იწვევს კრიმინალური (არალეგალური) აბორტების რაოდენობის რიცხვის ზრდას იმ სოციალური ჯგუფის (სოციალურად დაუცველი, არასრულწლოვანი, სოფლად მცხოვრები) წარმომადგენელ ქალთა შორის, რომელთაც არ გააჩნიათ სახსრები, გავიდნენ ოკუპირებული ტერიტორიიდან და იქ მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს ლეგალურად.

გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშში, მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა გენდერული ნიშნით მოტივირებულ ქალთა მკვლელობებს (ე.წ. ღირსების მკვლელობები). მოცემულ საკითხზე საუბრისას ასიდა შაკრილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დე-ფაქტო სამართალდამცავები არასათანადოდ რეაგირებენ ქალთა მიმართ ძალადობის აღმაშფოთებელ ფაქტებზე და უმეტეს შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეები სასამართლომდე ვერ მიდის. ამის დასტურად დე-ფაქტო სახალხო დამცველს მოყავს, საანგარიშო პერიოდში მომხდარი კონკრეტული ფაქტები.[18]

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრის დასასრულს, ასიდა შაკრილმა ე.წ. პარლამენტარებს მოახსენა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან („აფხაზეთის ქალთა ასოციაცია, „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი“, „ბავშვთა ფონდი“ და სხვა) ერთად, დე-ფაქტო სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა „ოჯახური ძალადობისგან დაცვის შესახებ“ ე.წ. კანონპროექტი, რომელიც უახლოეს პერიოდში დე-ფაქტო პარლამენტს გადაეგზავნება განსახილველად.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქალთა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ სულ უფო მეტს საუბრობენ სოციალური ქსელების აფხაზურენოვან სეგმენტში თუ ადგილობრივ სატელევიზიო გადაცემებში.

მაგალითისთვის, „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის“ თანამშრომლის ლიანა კვარჩელიას საავტორო გადაცემაში, რომელიც 2020 წლის მაისში გავიდა ვრცლად ისაუბრეს ა/წ. 3 მაისს გენდერული ნიშნით მომხდარ დანაშაულზე, სადაც ოკუპირებული ოჩამჩირის მკვიდრმა თავის ნათესავი ქალბატონი მოკლა.[19] აგრეთვე, გადაცემაში შეეხნენ მსგავს სიტუაციებში დე-ფაქტო სამართალდამცავების უმოქმედობის თემას.

ინფორმაციისთვის, ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებდა თავშესაფარი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს 3-დან 15 დღემდე შეეძლო ცხოვრება, თუმცა ეს თავშესაფარი დაფინანსების სიმცირის გამო დაიხურა.

ბავშვთა უფლებები

[18] https://ombudsmanra.org/upload/iblock/158/1588f1a7fe9ccbb552c204a002daccb2.pdf

[19] https://www.youtube.com/watch?v=CqY0o0th6t4

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არანაკლებ რთული ვითარებაა ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.

ოკუპირებულ აფხაზეთში ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლების უხეში დარღვევის ფაქტები სისტემატურ ხასიათს ატარებს, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ არაღიარებულ რეგიონში დაშვებული არ არის საერთაშორისო უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები. ამ დრომდე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ ეძლევა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი კომისარიატის და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარიატის წარმომადგენლებს. ყოველივე ეს განსაკუთრებით მძიმედ აისახება ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ ბავშვებზე, როგორც ერთ–ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფზე.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამედიცინო სერვისების მიწოდების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ვლადიმერ პუტინის ვიზიტის დროს, რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის ხელი მოეწერა „სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაზღვევის ორგანიზაციაში თანამშრომლობის შესახებ“ ე.წ. შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეს ეძლევა საშუალება რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში მიიღოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. საუბარია რუსეთის 189 ათასი მოქალაქის სამედიცინო დაზღვევაზე, პოლისს ასევე 14 წლამდე ასაკის ბავშვები მიიღებენ, თუ ერთ-ერთი მშობელი რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროსა და დე-ფაქტო ჯანდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ჯანმრთელობის დაზღვევა რეალურად ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და დიდ უკმაყოფილებას იწვევს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობაში. ცხადია, რომ აღნიშნულის თაობაზე ოკუპირებული აფხაზეთის კონტროლირებადი მედია დუმს, მაგრამ სოციალური ქსელების აფხაზურ სეგმენტში სულ უფრო ხშირად გამოითქმება იმედგაცრუება. მოცემულ თემაზე უფრო ღიად საუბრობენ პირად საუბრებში. მაგალითად მოვიყვან არაღიარებული რეგიონიდან საქართველოში სამკურნალოდ ჩამოსული რამდენიმე პაციენტის მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას:

პაციენტი ე.გ. (ასაკი 12 წლის) მშობელი ყვება, რომ ბავშვს შეატყო სმენის დაქვეითების ნიშნები და ე.წ. აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის პოლისით კონსულტაციისთვიის გაემგზავრა ქ.სოჭში. ექიმმა, გამოკვლევის შედეგად მწვავე ინფექციური დაავადებების შედეგად გამოწვეული სმენაჩლუნგობა დაადგინა და მშობელს განუცხადა, რომ აღნიშნულ პრობლემას კრასნოდარის მხარეში ვერ გადაწყვეტდნენ. სამკურნალოდ გამგზავრება ქ. მოსკოვის სმენის დაქვეითების მკურნალობის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ურჩია. მშობელმა პაციენტი წაიყვანა რუსეთში, გამოკვლევების და მკურნალობის ღირებულება 180 000 რუბლს (დაახლოებით 7 500 ლარი) შეადგენდა და აღნიშნული თანხის უქონლობის გამო მშობელი

ბავშვთან ერთად ქ. სოხუმში დაბრუნდა. შემდეგ, ოჯახმა ბავშვის გამოკვლევების ჩატარება ქ.თბილისში, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნულ ცენტრში, ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკაში გადაწყვიტა. გამოკვლევების შედეგად ქ.სოჭში დადგენილი დიაგნოზი არ გამართლდა და ბავშვს რეალურად მკურნალობაც არ ესაჭიროებოდა.

პაციენტი ა.ტ. (ასაკი 7 წლის) მშობელი ყვება, რომ ბავშვმა სიმაღლიდან გადმოხტომის შედეგად მიიღო ფეხის მრავლობითი მოტეხილობა. ქ.სოხუმში მკურნალობის შედეგად მდგომარეობა გართულდა. მშობელმა მკურნალ ექიმს უთხრა, რომ აპირებდა ბავშვის ჩამოყვანას თბილისში, რადგან კრასნოდარის მხარეში მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ ჰქონდა. ექიმმა კატეგორიულად განუცხადა, თუ ბავშვს საქართველოში წაიყვანდა, მასთან ყველანაირ ურთიერთობას სამუდამოდ შეწყვეტდა. მშობელმა პაციენტი მაინც ჩამოიყვანა ბავშვი თბილისში, რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ უმკურნალა და დღეისთვის პაციენტს ჯანმრთელობის კუთხით არანაირი პრობლემა არ გააჩნია.

ზემოაღნიშნული მაგალითები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული გაუმართავი სამედიცინო სერვისების სისტემა და ინფრასტრუქტურა, აგრეთვე, მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზირება.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ, უკიდურესად რთული ვითარების ამსახველია ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო დამცველის ინტერვიუ, რომელიც ა.წ. 6 ივნისს დაიბეჭდა.

ასიდა შაკრილი, საკმაოდ ვრცელ ინტერვიუში, ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დარღვევის უხეშ ფაქტებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოკუპირებულ ტერიტოტორიაზე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის საგანგაშო მდგომარეობას. მისი თქმით, ბავშვებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა უნდა განიხილოს არა როგორც კეთილი ნების გამოხატვა არამედ, როგორც მოვალეობა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, რომელი საკითხია ყველაზე პრობლემატური და აქტუალური ასიდა შაკრილი პასუხობს, „პირველ რიგში მე გამოვყოფდი ბავშვთა სიღარიბის პრობლემას“.

ოკუპირებული აფხაზეთის ომბუცმენის თქმით, ე.წ. სახელმწიფოში ძალიან ბევრი ოჯახი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე და ჯანმრთელობაზე. არაერთი შემთხვევაა, როდესაც მშობლებს, უსახსრობის გამო, არ აქვთ საშუალება ბავშვები უზრუნველყონ ტანსაცმლით, სახელმძღვანელოებით და აქედან გამომდინარე ბავშვები ვერ ახერხებენ სკოლაში სიარულს.

ასიდა შაკრილი მწუხარებით აღნიშნავს, ე.წ. სახელმწიფოში არ არსებობს ამ კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფების ოფიციალური სტატისტიკა და პრეტენზიას გამოთქვამს იმ ე.წ. უწყებების მიმართ, რომლებიც კონკრეტულად ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით მუშაობენ.

ინტერვიუში, ომბუცმენი ხაზგასმით შეეხო ინვალიდი ბავშვების თემას. მისი თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ამ კატეგორიის ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ინკლუზიური განათლების დანერგვას. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ასიდა შაკრილმა დაამატა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სკოლებში არ არსებობს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა იმისთვის რომ უზრუნველყოფილ იქნას ინვალიდი ბავშვებისთვის განათლებისადმი წვდომა. ომბუცმენის თქმით, შშმ პირებისთვის სკოლებში სათანადო გარემოს შექმნას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ზოგიერთი მშობელი წინააღმდეგია იმის, რომ მათ ბავშვებთან ერთად ინვალიდი ბავშვები სწავლობდნენ.

ბავშვების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა მრავალ საკითხთან ერთად ასიდა შაკრილმა ისაუბრა არასრულწლოვანებთან მიმართებაში სამართალწარმოების ჰუმანიზაციის და კრიზისული ცენტრების შექმნის აუცილებლობაზე. (ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე.[20]

ისტორიული ძეგლები

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საგანგაშოა ისტორიული ძეგლების დაცვის საკითხთან არსებული ვითარება.

მოცემულ თემასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არ არსებობს ისტორიული ძეგლების დაცვის ეფექტური მექანიზმები. ისტორიული ძეგლის დაზიანების შემთხვევაში პირს შეუსაბამოდ მცირე 500 რუბლიდან (20 ლარი) 5 000 რუბლამდე (200 ლარი) ადმინისტრაციული ჯარიმა ეკისრება.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები შედის „აფხაზეთის კულტურისა და ისტორიულ-კულტური მემკვიდრეობის დაცვის“ ე.წ. სამინისტროსთან 2014 წელს სპეციალურად შექმნილ „რესპუბლიკის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ ე.წ. დეპარტამენტის „საქმიანობის“ სფეროში.

ე.წ. დეპარტამენტის შექმნის შემდეგ დაიწყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების ინვენტარიზაციის პროცესი, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ობიექტების სადაზღვევო ღირებულების შეფასება, არქიტექტორული სტილის თავისებურებები, ისტორიული მონაცემები და ა. შ. მომზადებულ იქნა ე.წ. ინვენტარიზაციის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც დე-ფაქტო მინისტრთა კაბინეტის მიერ იქნა დამტკიცებული და დაფინანსებული.

[20] http://chp-apsny.org/events-and-opinions/vsestoronnee-razvitie-rebenka-eto-prezhde-vsego-otvetstvennost-gosudarstva/

ე.წ. ინვენტარიზაციის ჩატარების ვადა განისაზღვრა 2016-2018 წლებით, რომელიც ვერ შესრულდა და 2019 წლის ბოლომდე გადაიდო.

ე.წ. დეპარტამენტის მონაცემებით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების სიაში 1 535 ობიექტი შევიდა, რომლებზეც დაიწყო სააღრიცხვო ბარათების შექმნა, ფოტოფიქსაცია, შემოწმების დროს ობიექტის მდგომარეობის აღწერა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ე.წ. სახელმწიფო კომპანია, რომელიც ახორციელებს ისტორიული ძეგლების რესტავრაციას ან კონსერვაციას. იმ შემთხვევაში თუ ობიექტი განსაკუთრებულ ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს მის რესტავრაციას ე.წ. ხელისუფლება იღებს თავის თავზე, ხოლო, თუ ობიექტი იმყოფება კერძო საკუთრებაში, მის რესტავრაციასთან დაკავშირებული ხარჯები მფლობელს ეკისრება.

არსებული ინფორმაციით, 1 535 ობიექტიდან საინვენტარიზაციო ღირებულება განესაზღვრა 150 ობიექტს, რომელთაგან 23 მიჩნეულ იქნა საკულტო ნაგებობად და 127 სამოქალაქო არქიტეტურის ძეგლად.

როდესაც ვსაუბრობთ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების დაცვის შესახებ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კონვენციაში „კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ“[21] მკაცრად არის გაწერილი კრიტერიუმები, რომლთა დაკმაყოფილებაც სავალდებულოა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ობიექტის წარსადგენად.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში, საყურადღებოა, დე-ფაქტო აფხაზეთის კულტურისა და ისტორიულ-კულტური მემკვიდრეობის დაცვის ე.წ. მინისტრი მოადგილის ბატალ კობახიას ინტერვიუ, რომელიც 2019 წლის 18 აპრილს მსოფლიო აფხაზურ-აბაზინური კონგრესის (Всемирный абхазо-абазинский конгресс) ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა და რომელშიც ის საუბრობს იმ მიზეზებზე თუ რატომ ვერ ხერხდება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეყვანა.

ე.წ. მინისტრის მოადგილე განმარტავს თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ისტორიული ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად. ბატალ კობახიას თქმით, პირველ რიგში, ე.წ. სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების შენარჩუნებაზე. იმ შემთხვევაში თუ ე.წ. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ზემოხსენებული ობიექტების აღრიცხვას, დაცვას, რესტავრაციას, ავთენტურობის შენარჩუნებას იუნესკო არანაირი პროექტის განხილვას არ დაიწყებს. მეორე საკითხი,

[21]КОНВЕНЦИЯ ОБ ОХРАНЕ ВСЕМИРНОГО КУЛЬТУРНОГО И ПРИРОДНОГО НАСЛЕДИЯ https://whc.unesco.org/archive/convention-ru.pdf)

რომელზეც ე.წ. მინისტრის მოადგილემ გაამახვილა ყურადღება, არის აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. [22]

თვითმხილველების თქმით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულმა ეკლესია-მონასტრებმა, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ე.წ. რესტავრაცია ჩაუტარდათ თითქმის დაკარგეს პირვანდელი სახე, რაც პირდაპირ არღვევს ვენეციის ქარტიის მე-4 და მე-5 პარაგრაფებს, რომლებშიც ვკითხულობთ, (პარაგრაფი 4 ძეგლთა დაცვა საჭიროებს მათ გამუდმებით მოვლას, პარაგრაფი 5 ძეგლთა შენარჩუნებას ყოველთვის ხელს უნდა უწყობდეს მისი გამოყენება საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. ეს სასურველია, მაგრამ დაუშვებელია ამის გამო ძეგლთა სტრუქტურის და გარეგნობის შეცვლა. საზოგადოებრივი მოთხოვნების განვითარება და ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებული გზების დაგეგმვა და ნებართვის გაცემა მხოლოდ ამ საზღვრებშია შესაძლებელი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემა დაკავშირებულია არა საერთაშორისო დამკვირვებელთა არშეშვებასთან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არამედ იმასთან, რომ მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ ხდება ობიექტების სათანადო მოვლა, რესტავრაცია, კონსერვაცია და დაცვა.

კრიმინალი

პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა, უმუშევრობამ, ტოტალურმა კორუფციამ, ჩავარდნილმა ტურისტულმა სეზონმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შექმნა, რამაც კრიმინოგენური ვითარების მხრივ კატასტროფული სიტუაცია შექმნა.

დე-ფაქტო ხელისუფლება პრეს-კონფერენციებზე ხშირად საუბრობს კრიმინალთან ბრძოლაში რუსი კოლეგების დახმარების შესახებ, მაგრამ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მაინც ვერ ახერხებს.

საკმარისია გავიხსენოთ რუსულ-აფხაზური „ერთობლივი საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი“, რომელიც თითქოს შექმნილია როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი ახალი სტრუქტურა, მაგრამ სინამდვილეში ვხედავთ, რომ დღემდე ცენტრის საქმიანობას არანაირი დადებითი შედეგი არ მოუტანია და მისი შექმნა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს-აფხაზი ე.წ. ძალოვანი სტრუქტურების მეორე პლანზე გადაყვანა და მათი ჩანაცვლება რუსი ძალოვნებით. ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკოტრაფიკი, თანხების გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცება და ა.შ.

დე-ფაქტო პროკურატურის მიერ გამართულ ბრიფინგზე მოყვანილ იქნა 2020 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, მ/წ 10 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია 620 სს დანაშაული, რომელთაგან 252 მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება.

[22]https://abaza.org/289?fbclid=IwAR1jog7tey4Bxv6ZTJi21iLiJ0mJWSviBzOMh21vfTP21fdUYiUYGxiLNbU).

აგრეთვე, პრეს-სპიკერმა აღნიშნა, რომ 2019 წელთან შედარებით მკვლელობის ფაქტებმა 7-ით იკლო და 2020 წელს მკვლელობის 10 ფაქტი დარეგისტრირდა. ყაჩაღობის 11 ფაქტი, რაც წინა წელთან შედარებით 4-ით ნაკლებია. რაც შეეხება ძარცვას და ქურდობას შესაბამისად მოხდა 15 და 142 ფაქტი.[23]

განსაკუთრებითაა გაზრდილი ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების კონტრაბანდა. თითქმის ყოველდღე დე-ფაქტო შსს-ს პრესს-სამსახური იტყობინება რუსეთ -აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე ნარკოტიკების გადამტანთა დაკავებაზე. სიტუაცია იმდენადაა დამძიმებული, რომ დე-ფაქტო ხელისუფლებამ ნარკოტიკებით ვაჭრობაზე სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი მოხსნა.[24]

დიმიტრი დბარმა დე-ფაქტო შს მინისტრის საქმიანობა ხმაურიანი დაკავებით დაიწყო. დბარის თანამდებობაზე დანიშვნიდან მალევე, სოხუმში ორი კრიმინალური ავტორიტეტის, ასტამურ შამბას და ალხას ავიძბას, ასევე მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაცვლილი მიმტანის, დომინიკა აკირტავას მკვლელობაში ბრალდებული ერიკ ჭკადუა დააკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი დბარი დანიშვნისთანავე აქტიურად შეუდგა კრიმინალთან ბრძოლას, მან 2020 წლის განვლილ პერიოდში მაინც ვერ შეძლო მძიმე კატეგორიის დანაშაულების რაოდენობის შემცირების კუთხით ეფექტური ზემოქმედების მოხდენა.

საქმე იქამდეც მიდის, რომ ადამიანის სიცოცხლე დრანდის ე.წ. საგამოძიებო იზოლატორშიც არ არის დაცული. მაგალითად, ოკუპირებული აფხაზეთში დრანდის წინასაგამოძიებო იზოლატორში, ბრალდებული, 1981 წელს დაბადებული, ასტამურ ძიძარია მოკლეს. წინასწარი მონაცემით, ძიძარიას მკვლელობა 00:00 – 05:00 საათის პერიოდში მოხდა, ცხედრის გარეგანი დათვალიერებით, ძიძარიას ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა. ასტამურ ძიძარია, 2017 წელს გუდაუთაში დიმიტრი ოზგანის მკვლელობის თამზრახველობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენაში იყო ბრალდებული. მისი საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში ბოლო სტადიაზე იყო და 5 დღეში მისი განაჩენი უნდა გამოცხადებულიყო.[25]

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცებას. ასე მაგალითად ა/წ 7 სექტემბერს დე-ფაქტო შს სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ოკუპირებული გალის მკვიდრის ჯემალ სოსელიას გატაცების საქმეზე.

ჯემალ სოსელია გატაცებამდე სოჭში ცხოვრობდა, სადაც სამშენებლო მასალების ბიზნესით იყო დაკავებული.

დე-ფაქტო უწყების ცნობით, 5 სექტემბერს, დაახლოებით 22:00 საათზე, ტყვარჩელის რაიონის სოფელ რეჩხში, ნიღბიანმა, შავსამოსიანმა, შეიარაღებულმა პირებმა, BMW-ს

[23] https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20201124/1031343034/Genprokuratura-Abkhazii-rasskazala-o-khode-rassledovaniya-gromkikh-prestupleniy-.html

[24] https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200301/1029556353/V-Abkhazii-vstupil-v-silu-zakon-o-smertnoy-kazni-za-rasprostranenie-narkotikov.html

[25] https://www.ekhokavkaza.com/a/30419118.html

მარკის ავტომობილში მჯდომი ჯემალ სოსელია გააჩერეს, რის შემდეგაც ისინი ერთად დაიძრნენ გალის რაიონის სოფელ საბერიოს მიმართულებით.

დე-ფაქტო შსს-ში აცხადებენ, რომ ჯემალ სოსელიას ავტომობილი ე.წ. სამართალდამცველებმა გალის რაიონის სოფელ ლეკუხონასთან გზაზე იპოვეს.

დე-ფაქტო უწყების ცნობით, გამოძიებას გალის რაიონის დე-ფაქტო პროკურატურა აწარმოებს, ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად.[26]

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზა, რომელიც ქ.გუდაუთაშია განლაგებული არაერთხელ მომხდარა კრიმინალურ ქრონიკაში. ასე მაგალითად, 2020 წლის 20 მაისს სამხედრო მოსამსახურეებს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად სერჟანტმა დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა თავისი დანაყოფის მეთაურს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.[27]ცხადია, რომ მსგავსი სამხედრო ბაზა საფრთხეს არამარტო საქართველოს, არამედ მთელს რეგიონს უქმნის.

COVID-19

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა კორონავირუსის გავრცელების მხრივ.

ბოლო დროს გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები იზრდება.

დე-ფაქტო ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ ჯანდაცვის სისტემას აღარ ჰყოფნის სამედიცინო პერსონალი, ექიმების დიდი ნაწილი გადაღლილია, ზოგიერთი მათგანი კი ვირუსით დაინფიცირებული. მათი ნაწილი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადის მკურნალობას და არსებობს საფრთხე, რომ ოკუპირებული რეგიონი შესაბამისი სფეროს სპეციალისტების გარეშე დარჩეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტებმა ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ვითარება შეისწავლეს, დაათვალიერეს საავადმყოფოები და რამდენიმე გეგმაც კი დაწერეს თუ როგორ უნდა ემოქმედა მარიონეტულ რეჟიმს სხვადასხვა სცენარის განვითარების შემთხვევაში ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად.

მოგეხსენებათ, ოკუპირებულ აფხაზეთში არცერთი მსხვილი საწარმო არ ფუნქციონირებს, საბანკო სისტემა გაუმართავია, წარმატებულ ბიზნეს-საქმიანობას მხოლოდ მარიონეტულ რეჟიმთან დაახლოებული ადამიანთა ვიწრო წრე აწარმოებს და ამიტომაც, უკვე 2020 წლის მარტში ე.წ. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ე.წ. ბიუჯეტში სერიოზული გარღვევა ექნებოდათ, რაც მძიმე ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევდა და პანდემიის პირობებში ეკონომიკურად შეჭირვებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის საპროტესტო გამოსვლების კატალიზატორი იქნებოდა.

---

[26] https://www.radiotavisupleba.ge/a/30831680.html

[27] (https://chegem.su/khronika-sobytij/item/252-ponozhovshchina-na-7-oj-voennoj-baze-v-gudaute).

ამიტომაც, დე-ფაქტო ხელისუფლება, მრავალი რეკომენდაციის მიუხედავად, იძულებული გახდა არაღიარებულ რეგიონში დასვენების მსურველთათვის რუსეთის ფედერაციასთან ე.წ. საზღვარი გაეხსნა, რადგან ტურიზმი, ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ე.წ. საზღვრის გახსნის შემდეგ, ოკუპირებულ აფხაზეთში ინფიცირების შემთხვევებმა, 2020 წლის ზაფხულის დასაწყისთან შედარებით, 10-ჯერ იმატა. ინფორმაციისთვის თუ 2020 წლის აგვისტოს დასაწყისში ფიქსირდებოდა 5-7 ინფიცირებული, სექტემბრის დასაწყისში კორონავირუსის დადებითი შედეგი დღე-ღამეში 40 ადამიანს დაუდასტურდა.[28]

დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში სერიოზული კრიზისია, იქ არის პირველადი მოხმარების საგნების, პროდუქტების დეფიციტი, ყველაფერი გაძვირებულია.

ა/წ 25 ნოემბერს დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრმა ახალი კორონავირუსისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით გასატერებელი ღონისძიების ფარგლებში თათბირი ჩაატარა, რომელსაც დე-ფაქტო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, დე-ფაქტო მთავარი სანიტარული ექიმი და ე.წ. რესპუბლიკური უნიტარული საწარმო „აფხაზფარმაციის“ დირექტორი ესწრებოდნენ.

ჯანდაცვის ე.წ. მინისტრმა დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრს კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ ოქტომბერთან შედარებით, ნოემბერში ინფიცირებულთა რიცხვმა 50%-ით იკლო (ოქტომბერში 2831, ხოლო პირველიდან 24 ნოემბრამდე ინფიცირებულთა რიცხვმა 1343 შეადგინა). თუმცა, ოპერატიული და საკოორდინაციო შტაბები, მძიმე და ლეტალური შედეგების რაოდენობის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოდიან რეკომენდაციით, შეზღუდვების გაგრძელების თაობაზე, თუმცა, ამანაც ვერ იქონია სასურველი შედეგი. დეკემბრის დასაწყისში ინფიცირებულთა რიცხვმა 100-ს გადააჭარბა. თამაზ წახნაკიას? ცნობით, დაავადებულთა სიკვდილიანობა 1,2%-ს ხოლო, ინფიცირებულთა საერთო რაოდენობიდან გამოჯანმრთელებულების რიცხვი 76%-ს შეადგენს.

შეხვედრის ფარგლებში დე-ფაქტო მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბს? მიაწოდა ინფორმაცია კორონავირუსით ინფიცირებულთა მკურნალობის მთავარი ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების თაობაზე, დამატებითი დამცავი საშუალებების, მედიკამენტების დიაგნოსტიკური აპარატურის შესაძენად კონტრაქტების გაფორმების თაობაზე, მათ შორის გაგრაში და ოჩამჩირეში კოვიდ ლაბორატორიების შესაქმნელად მოწოდებაზე.

თათბირის შემდეგ გაჟღერდა[29] სტატისტიკური მონაცემები კოვიდინფიცირებულთა შესახებ :

1) გამოკვლეულია ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის 9,7% (23 878 ადამიანი):
2) გამოკვლეულთა შორის დადებითი რეზულტატი 23,8%-ს დაუდგინდა:

[28] (https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200905/1030881205/Glava-Minzdrava-Abkhazii-zayavil-o-stabilnom-roste-COVID-infitsirovannykh.html).

[29] https://www.km-ra.org/news/predstaviteli-sfery-zdravookhraneniya-otchitalis-o-situatsii-s-koronavirusom-.html

3) პანდემიის პერიოდში დაავადებულთა რიცხვმა მოსახლეობის 2,3% (5 699 ადამიანი) შეადგინა:
4) ინფიცირებულთა 4 920 განმეორებითი გამოკვლევა ჩატარდა:24.11.2020

დე-ფაქტო პრეზიდენტის 20 ნოემბრის ე.წ. განკარგულებით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები 2021 წლის 12 იანვრამდე გაგრძელდა.[30]

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ გლობალური პანდემიის დაწყებისთანავე იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი ჩაერთო პანდემიით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილების საქმიანობაში. კერძოდ, კორონავირუსთან დაკავშირებით, მოქმედი სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების შესაბამისად, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის დავალებით, ნებისმიერ იურიდიულ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციისა და მომსახურეობისთვის ამოქმედდა ცხელი ხაზი.

ასევე, მინისტრის აპარატთან შესაძლებელია დაკავშირება ელექტრონული ფოსტის მისამართზეც, სადაც ნებისმიერ საკითხზე ყველა საჭირო ინფორმაციას დისტანციურად მიიღებენ აფხაზეთიდან დევნილები, უცხოეთში მყოფი და ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები. ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ქართულ და რუსულ ენებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებულ რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ქართველების მიმართ სიძულვილის პოლიტიკა, სულ უფრო ხშირია სამედიცინო და სხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების მიზნით ლეგიტიმური ხელისუფლებისადმი მომართვის შემთხვევები. ამის ნათელი მაგალითია, მინისტრის აპარატისადმი ნეიტრალური დოკუმენტების მიღების მიზნით გაწეული კონსულტაციების რაოდენობის ზრდა.

ყურადსაღებია, რომ მოცემული პრობლემის დარეგულირების ჭრილში საქართველოს ხელისუფლების მიერ წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, დღემდე არაერთი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი, რაც დიდ ძალისხმევასა და აქტიურ მუშაობას მოითხოვს.

[30] http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=13185